- მისივე მამა, ხოლო მეორე - მეუღლე, სპაიკ ჯონსია, რომელსაც ორიოდ წლის წინათ დაშორდა. როგორც ცნობილია, სოფია კოპოლა წელს “ოსკარის” მფლობელი გახდა ფილმისთვის “რთული აღზრდა”. მისმა ახალმა რჩეულმა კი პრესტიჟული ამერიკული ოქროს ქანდაკება 1995 წელს “მაკულატურაში” მიიღო.

კონკურენტებს კრიტიკა ეპროქალეზათ

ამერიკულმა კინოაკადემიამ ახალი კანონები შემოიღო. ამიერიდან “ოსკარის” პრეტენდენტებს კონკურენტების კრიტიკა ეკრძალებათ. ამ კანონის მიღებას წინ უძღოდა გასულ სეზონზე მომხდარი ინციდენტი, რომელიც დაკავშირებული იყო კომპანიათან - Dream Works. კომპანია შეეცადა მასმედიის საშუალებით ყოურის წევრებზე გარკვეული გავლენა მოეხდინა. ის აქვეყნებდა სტატიებს, სადაც მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლად შორე აგდამლუს აღიარებდა, ფილმიდან “ქეი-მისა და ნისლის სახლი”.

აგდამლუ სხვებზე მეტად მისახურებს ამ ფილდოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრემიის, კურსში მონაწილე კინოსურათებთან, მაინც რნე ზელევეგერი

მიიღებს (ფილმი “ცივი მთა”), - ნათქვამი იყო სტატიებში. მოგვიანებით სტუდიამ ბოდიში მოიხადა; ის კი არადა, როცა ზელევეგერი მართლაც გახდა “ოსკარის” მფლობელი, კომპანიამ მისთვის მისალოცი წერილიც კი გამოაქვეყნა. ამერიკულ კინოაკადემიაში კიდევ ერთი სიახლეა: ეს წამდვილად გაახარებს ყოურის იმ წევრებს, რომლებიც ლოს ანჯელესისა და ნიუ იორკის გარეთ ცხოვრობენ. ისინი ხომ მუდმივად წუწუნებდნენ იმის გამო, რომ “ოსკარის” პრეტენდენტები ფილმების ნახვა მათთვის ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ამჯერად აკადემია ყოურის წევრებს კონკურენტების მონაწილე კინოსურათების ნაწყვეტებს გაუგზავნის.

ფოლკლორი თათარიძეების

ჰერა ნაჰარიძე

“მელოდია ჩემში ლექსმა უნდა წარმოშვას”, - ამ პრინციპით ქმნის წლების განმავლობაში ლელა თათარიძე თუშურ სიმღერებს, რომლებიც იმდენად მკვიდრდება ჩვენში, რომ შემდეგ დაკოვენ - ხალხურია თუ არა ეს თუ ის სიმღერა... ალბომი, რომელიც სექტემბრიდან გაიყიდება, მსგავს გაუგებრობებს ნაწილობრივ თავიდან აგავიცილებს და კითხვის ნიშნებსაც მოშლის. ამას გარდა, სტუდია “ქართულ ჩანაწერებში” ჩაწერილი ეს ნამუშევარი სერიოზული საჩუქარი იქნება ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებისთვის.

ფოლკლორი საქართველოში განსაკუთრებულად უყვართ, პატივსაც სცემენ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ეს დამოკიდებულია მაინც ზედაპირულია. ამ მხრივ, უდავოდ სასიამოვნო გამოწვევის იყო წლევანდელი ფოლკლორის ფესტივალი “არტ-გენი”, სადაც შემოღობისდაგვარად პატივი მივაგეთ ხალხურ პოეზიას და სიმღერას. მაგრამ, ფაქტია, რომ წელიწადში თუნდაც ერთი და ორი ასეთი ფესტივალი ცოტაა იმ მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და გასამდიდრებლად, რამაც ჩვენამდე მოაღწია. კულტურული მემკვიდრეობა (რომლის ნაწილიცაა ქართული ფოლკლორი) ჩანაწერების გადასარჩენად, გამოიყენება სხვადასხვა სახის პრიორიტეტებად და გეგმაცხადებული. გათვალისწინებულია გარკვეული ხარჯები უნიკალური ჩანაწერების გადასარჩენად, გამოიყენება, ეს, რასაკვირველია, უცხოელ-ბოლი, საჭირო და სასარგებლოა. მაგრამ, ფოლკლორზე მუშაობა მხოლოდ ღირვანებასა და ვინილის ფირფიტებზე შენახული აუდიომასალების თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადატანა არაა.

მთა-თუშეთი, სოფელი დართლო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოლკლორში მომუშავე შემსრულებლებისა თუ ანსამბლების მოღვაწეობა: ჩანაწერები, კონცერტები. ჩვენს რეალობაში ქართველი ფოლკლორისტებისთვის აქტიურობა ცოტართული საკითხია. ალბათ, თითზე ჩამოსათველი გვყავს საინტერესო ფოლკლორული კოლექტივები (ყოველ შემთხვევაში, ისეთები, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, აქტიურად მუშაობენ საკუთარ თავზე). უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ ვინც გვყავს, ისიც ყოფნა-არყოფნის სამშიშროების წინაშე დიდება... ასეთ ვითარებაში წამდივლად სასიამოვნოა, როდესაც შეიტყობ საინტერესო ჩანაწერის შესახებ. ამ ინტერესისა და გაორმაგებული მოლოდინის მიზეზი კი თავად ავტორებია, ქართველი ფოლკლორის მოამბეები - ლელა და

ეთერ თათარიძეები არიან. ამ ალბომზე (სახელწოდება ჯერჯერობით არ აქვთ მოფიქრებული) მუშაობა სტუდია “ქართულ ჩანაწერებში” დასასრულს უახლოვდება. ჩანაწერის იდეის ავტორი ბესო ხაინდრავაა (გაიხსენეთ ფოტომოყვარულთა კონკურსი “ქოლგა”), რომელმაც მისი განხორციელება თათარიძეებს “ქართულ ჩანაწერებში” შესთავაზა. ალბომში სავარაუდოდ თხუთმეტმდე სიმღერა გაერთიანდება. მაგრამ, რასაკვირველია, კომპაქტ-დისკი სრულად ვერ დაიტევს ლელა თათარიძის შემოქმედებას. როგორც თავად კომპოზიტორმა განაცხადა, ამას სამი და ოთხი ალბომიც არ ეყოფა. ჩანაწერი, რომელზეც დღევანდელ წერილშია საუბარი, ერთი ორიგინალური დადაწყვეტით იქცევა ყურადღებას. თითქმის ყველა სიმღერას (რომელიც ალბომში შევა) წინ უძღვის

ზღვის ნაპირას, ტბაზე

ჰემინგუეის დაბადების დღეს საქართველოშიც აღნიშნავენ

21 ივლისს ჰემინგუეის დაბადების დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

ამერიკელი მწერლის დაბადების დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს.შპის ჩასვლით, ანკესებით და მეზაღერულ-მეზღვაურული მხიარულებით...

ამ ღონისძიების ორგანიზატორები არიან კულტურის სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტი, აშშ-ს საელჩო და ფოთის მერია. ყველაფერი უკვე დაგეგმილია. დღეს საღამოს - ჩასვლა ფოთში, სადაც თბილისიდან ჩასულ მწერლებს სხვა ქალაქებიდან ჩასული სტუმრებიც შეუერთდებიან. მერე ყველანი - სტუმრებიან-მასპინძლიანად მალთავებაში დაბინავდებიან. ზეიმი ზვალდითი დაიწყება. დღის წესრიგი ასეთია: დილას ადრე ადგომა, თევზაობა - რა თქმა უნდა, ანკესით. და შეჯიბრიც - თევზაობაში. საუკეთესო მეზაღერისთვის სპეციალური პრიზებიც არის დაწესებული. მერე იქნება ე.წ. ოფიციალური ნაწილიც, თუმცა ამ გარემოში, ბუნებრივია, ოფიციალურ ნაწილსაც მხოლოდ ნაწილობრივ თუ ექნება ოფიციალური სახე და, რასაკვირველია, არ ემგავნება ტრადიციული ლიტერატურული საღამოების ცერემონიალებს.

დამეთანხმებით, ჰემინგუეის დღე რა ჰემინგუეის დღე იქნებოდა ლიტერატურის გარეშე. ოქროს ტბის სანაპიროზე თევზაობით დაღლილი მწერლები ლიტერატურაზეც ისაუბრებენ. აქვე გაიმართება თვატყალიზებული სანახაობაც. ამასთან, ორგანიზატორები რაღაც სიუპრიზებსაც გვპირდებიან. ამას კი ზვალ გავიგებთ.

სახეები და სახელები

ერთი ჟურნალი ყველაზე პოპულარული ადამიანებისა და მოვლენების შესახებ

ლევან სპაშაშვილი, ფოტო

ნაციების სერია იყო: მაგალითად, წლის “მარგარეტ ტეტჩერი” წინო ბერჯანაძის სახით, ანდა გიორგი ბარამიძის წარმოდგენილი წლის “ინგელეების”.

მზატვრულად საკმაოდ ფეექტურად გაფორმებული ჟურნალი ბევრ საინტერესო მასალას მოიცავს მათთვის, ვისაც გასულ წელს გაზეთი და ჟურნალი არ უყვოდა და მათთვისაც, ვისაც წარი ჟურნალ-გაზეთების ნაკითხვა დაეზარა ან ნაკითხუიდან დასკვნის გაკეთება ვერ შეძლო.

ჟურნალის პრეზენტაციაზე ერთერთმა გამომსვლემა აღნიშნა, რომ “სახე(ლები)ს” სახით ქართულ მედიაში კიდევ ერთი ნიშა გაჩნდა. ნიშა თუ არა, ერთი პოლიგრაფიული და შინაარსობრივ თვალსაზრისით საინტერესო ჟურნალი რომ გაჩნდა - უკვე კარგია. ჩვეულებრივ, ამ ტიპის გამოცემები უფრო ანალიტიკურ მასალებზე იღებენ ორიენტაციას. ამ მხრივ, ჟურნალში გამოქ-

ვეყნებული წერილები არაერთგვაროვანია. ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც ანალიტიკურ, ამომწურავ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე, თუმცა ზოგან მოყვითალო ფერები სჭარბობს. ეს, შესაძლოა, თავად ჟურნალის სტრატეგიის ნაწილიც იყოს. “სახე(ლები)” ერთგვარად ქართული მედიის მოკლე შინაარსს წარმოადგენს. ქართულ მედიაში კი “ყვითელ” გამოცემებს საკუთარი მკითხველმრავალი ადგილი აქვს და ამას “სახე(ლები)ც” ვერ აუვლის გვერდს.

რამდენადაც ინტერესით გავეცანი ჟურნალს (და ეს სიამოვნება კიდევ წინ მაქვს, რადგან საკმაოდ სქელტანიან ჟურნალს ერთ საღამოს ვერ გადავიტყუებ, იმდენად უინტერესო იყო მისი პრეტენსია. მართალია, ორგანიზატორებს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდათ: მათ აუქციონი მოაწყვეს, რომლის შემოსავლიც საქართველოში მცხოვრებ უზუცეს ადამიანებს გადაეცემათ.

თუმცა, უმეტესად გადამდგარი პოლიტიკოსებითა და მოუვარსკვლავებით დაკომპლექტებული პუბლიკა ნაკლებად იძლეოდა საინტერესო საღამოს გატარების საბაბს - რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა 2003 წლის სახელები და სახეები. აუქციონზე კარგ ფასად გაიყიდა ზასა ფოცხიშვილის ქუდი და გიგი წერეთლის პალატუხი. ეკონომიკური ლაფსუსი მოუვიდა რომან გოცირიძეს, რომელმაც აუქციონი სიმბოლურად მოოქროვილი ვარდით გახსნა და ეს უკანასკნელი დათო ოქტიმეილის საათზე იაფად გაყიდა.

პრეზენტაციის ყველაზე რთული მომენტი ქართველი პოპ-ვარსკვლავების “ცოცხლები” ნამღერი მუსიკალური პაუზები გახლდათ. საღამოს კულტურული პროგრამის ამ მიმართულებით წარმართვა ის შეცდომა იყო, რომელიც წამდივლად არ ეკადრება სოლიდურ და ავტორიტეტულ გამოცემაზე პრეტენზიის მქონე ჟურნალის რედაქციას.

მოკლად

ქრამარს საქსისტვის არ სცხელა



კრემარმა ამ გოგოზე დროებით უარი თქვა.

გერმანელი ხელბურთელი შტეფან კრემარი, რომელიც უფრო იმითაა ცნობილი, რომ საყვარლად თუ მეგობრად სახელოვანი მოცურად ფრანცისკა ვან ალმსეკი ჰყავს, გერმანულ ტაბლოიდ Bild-თან საუბარში აცხადებს, სწორედ მას, ალმსეკს, სექსუალური ბოიკოტი გამოეუცხადეო. არა, წყვილი ერთმანეთს არ შორდება. ამის საშიშროება არ არსებობს - ჯერჯერობით. უბრალოდ, კრემარმა გადაწყვიტა: ათენის ოლიმპიურ თამაშებს სერიოზულად ვუდგები და სექსზე დროისა და ენერგიის დახარჯვას არ ვაპირებო. თამაშებამდე კი სულ რაღაც 24 დღეა დარჩენილი. გერმანიის ხელბურთელთა ნაკრებს სერიოზული მიზნები აქვს - ოლიმპიური მედლები სურს. ერთი ისტყე-

ით, ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე ჩვენ შორის სექსი არ იქნებაო.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რეაქცია ჰქონდა ფრანცისკა ვან ალმსეკს კავალერის საქციელის გამო, თუმცა, ძნელი საფიქრებელია, აღფრთოვანებული დარჩენილიყო. არადა, ალმსეკს ადრე არაერთხელ უთქვამს, რომ კარგი, გემრიელი სექსი ერთადერთია, რომელიც პროფესიონალ სპორტსმენს შევებრების წინ ესაჩიროებაო.

როგორც კრემარი აცხადებს, მას ეჭვი არ ეპარება გულის სწორის ერთგულებაში: “ჩვენ არასდროს გვიღალატია ერთმანეთისთვის და ამას არც მომავალში ვაპირებთ”.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ოლიმპიურ თამაშებს დაველოდოთ.

როგორს საწოლის კი პატრიოტული აქვს

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს, რომელსაც ხშირად პატრიოტიზმის უკმარისობაში ადანაშაულებენ (მიხედობოდათ, დევიდ ბექჰემზეა საუბარი), საკუთარი შვილისთვის, რომელსთვის, ხუთას ფუნტ სტერლინგად სავანგებოდ დამზადებული საწოლი შეიძინა. საწოლი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მისი თეთრეული ინგლისის დროშის ანალოგიურია. მასალაა სხვა, თორემ დროშისგან არაფერი განსხვავდება - თეთრ ფონზე წითელი ჯვრით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბექჰემი საკუთარ შვილს ტრადიციულად - ინგლისის დროშისადმი ერთგულებით ზრდის.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ბექჰემმა შესაბამისი დიზაინით შესრულებული თეთრეული იყიდა. მეუღლესთან, ვიქტორია ადამსთან ერთად, ორი

წლის წინათ უფროს ვაჟიშვილს ბრუკლინს ანალოგიური კომპლექტი შეუძინა. ორი წლის წინათ კი ბრუკლინი სამი წლის გახლდათ.

რაც შეეხება რომეო ბექჰემს, იგი ჯერ ერთი წლისაა და, ალბათ, ვერ შეძლებს, ჩანვდეს იმას, თუ რა არის პატრიოტიზმი, ისევე როგორც ვერ ნაიკითხავს საწოლის თავზე ამოტიფურულ საკუთარ სახელს.

მაინც რად მოეყვით ეს ისტორია? საქემ ისაა, რომ ეს საწოლი საგანგებოდ დამზადებულ თეთრეულის კომპლექტთან ერთად თავდაპირველად არასწორად, სხვა მაღაზიაში გაგზავნეს. შეკვეთილი საწოლი ადგილზე უნდა მიეტანა ჩრდილოეთ ლონდონის ერთ-ერთ ფეშენებელურ მაღაზიას, მაგრამ შემთხვევით ჩეტნემში, კენტის საგრაფოში აღმოჩნდა. შეცდომა კი გუშინ თუ დღეს უნდა გამოესწორებინათ.

რა საერთო აქვთ კორა ზუმახერს და დირკ ნოვიცკის?

რა ხანია, ფორმულა 1-ის პილოტის, გერმანელი რაღვ შუმახერის მეუღლე კორა შუმახერი ქმრის “ავადმოყობობათა” შუკერობილი - ისევე როგორც რაღვს, მასაც სიჩქარე იზიდავს. ცოტა ხნის წინათ გერმანული ჩემპიონატის - Mini Challenge-ის რბოლებაშიც იასპარეზა. მართალია, სადებოუტო რბოლებაში, რომელიც ლაუზიტკრინგზე ჩატარდა, არ მოუგია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ღირსეულად იასპარეზაო - 26 მრბოლს შორის მე-14 მიიჭრა ფინიშთან.

ახლა რა ხდება? ამ შაბათ-კვირას რაღვ შუმახერს 27 წლის მეუღლე ჩემპიონატის მეორე რბოლაზე უნდა წაეყვანა, მაგრამ ვინაიდან ინდოანაპოლისზე მძიმე ავარიის შემცროსმა შუმახერმა ზერხებელი დაიშავა, ცოლ-ქმარს გეგმა ჩაეშალა. რაც შეეხება თავად “უილიამის” მესაჭეს, რომელიც 2005 წლიდან იაპონურ სუპერკონცერნ “ტოიოტას” ლირსებას დაცავს, იმედი აქვს, რომ 15 აგვისტოსთვის

გამოჯანმრთელება და უნგრეთის დიდ პრიზზე იასპარეზებს. ამასობაში კორა შუმახერი, რომელიც სამეფო რბოლების გუნდშიმატკივრებმა ყველაზე მომხიბლავ ელბატონად, უფრო სწორად, ფორმულა 1-ის პილოტთა ცოლებს შორის საუკეთესოდ დაასახელეს, საჭეს მეუღლის გარეშე არ მიუჯდება: “ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ რაღვი გამოჯანმრთელდეს. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია”.

სხვათა შორის, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა უმაღ გამოიწახეს კორას შემცვლელი. კორას ადგილს ამ ჩემპიონატში გერმანიაში არანაკლებ პოპულარული ადამიანი, NBA-ს ვარსკვლავი დირკ ნოვიცკი დაიკავებს. Mini Challenge-ის ასპარეზობები იმი-თხად მნიშვნელოვანი, რომ მასში არაერთი ცნობილი სახე გამოდის. მხოლოდ ერთი რამ ინვესს გაოცებას: როგორ უნდა იგრძნოს თავი რბოლისას აყლაყულა (211მ.) გერმანელმა.



კორა შუმახერი რაღვს გამოჯანმრთელებამდე საჭეს არ მიუჯდება.

სელესტაო VS სელესტა

ლევან ბარიაშვილი

ბრაზილიის ნაკრებმა “კოპა ამერიკას” გათამაშებაზე კვირას ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ბრაზილიელებმა - 4:0 მოუგეს მექსიკის უალრესად სიმპათიურ გუნდს. რამდენიმე საათით ადრე კი ურუგვაელებმა მეზობელი პარაგვაი დაამარცხეს - 3:1 და ისინიც საუკეთესო ოთხეულში გავიდნენ.

ურუგვაელთა ეს გამარჯვება იმითაც ფასებული იყო, რომ “სელესტემ” ათი კაცის შემადგენლობით დაასრულა მატჩი. ურუგვაელთა ფორვარდ დარიო სილვას ამ მატჩამდე სამი წლის განმავლობაში გოლი არ გაეტანა. 2001 წლის ნოემბრის შემდეგ, როცა ავსტრალიის ნაკრების კარში გაიტანა უალრესად მნიშვნელოვანი გოლი, სილვამ, გოლის სიტკბო რა არის, არ იცის. თუმცა, სილვას ხასიათის თავისებურება ის არის, რომ მას უმნიშვნელოვანესი გოლები გააქვს.

მეოთხედფინალშიც პარაგვაის ნაკრებმა მე-15 წუთზე გახსნა ანგარიში. გოლი ვეტრანმა კარლოს გამარამ გაიტანა. თუმცა, ჯერ კიდევ შესვენებამდე კარლოს ბუენომ შეძლო და წონასწორობა აღადგინა. ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ ურუგვაი სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. 1950-იანი წლებიდან თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა ურუგვაელთა უზემობის ამბავი. ამ ტრადიციას გუნდი დღესაც არ ღალატობს და იმდენი მოახერხა, რომ წლებვანდელ “კოპა ამერიკას” გათამაშებაში სამი გაძევება გამოსტყუა მსაჯებს. თითქოს ურუგვაელები ტურნირზე იმიტომ მიდიან, რომ გულშემატკივარს თავისი უზემობის შესახებ შეახსენონ.

პარაგვაისთანაც 64-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა გუსტავო გარელამ უზემად შეუტია მეტოქეს და წითელი ბარათი გამოიმუშავა. “სელესტესთვის” სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში გამოიჩინა თავი დარიო სილვამ, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და გუნდს ნახევარფინალში გაუყვალა გზა. მატჩის შემდეგ ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ხორხე ფოსტატმ განაცხადა, რომ თავისი გუნდის ბრძოლისუნარიანობითა და ტექნიკურამენტით გამოაფილია. მწვრთნელს ისე გამოუვიდა, თითქოს უზეშობა ურუგვაული დაუცხრომელი ტექნიკამენტის ბრალი იყოს.

ასეა თუ ისე, ურუგვაის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა და ბრაზილიას შეხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია არაქმის საუკეთესო შემადგენლობით არასულა, “სელესტაო” გამარჯვებას გამარჯვებზეა ზეიმობს. მეოთხედფინალში, რომელიც ლიმაში გაიმართა, ბრაზილიელებმა - 4:0 დაამარცხეს მექსიკის სამეფოდ ქლიერი გუნდი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ არა 28-ე წუთზე დანიშნული პენალტი, ანგარიში შეიძლება სხვაგვარიც ყოფილიყო. აღრიანო პირისპირ გავიდა “ავტეტკების” მეკარე ოსვალდო სანჩესთან და მასთან ჭიდილში წაიქცა. კოლუმბიელმა



კარლოს ტავეზის ამ გოლმა არგენტინის ნაკრები ნახევარფინალში გაიყვანა.

არბიტრმა ოსკარ რუისმა პენალტი დაანიშნა და, შეიძლება ითქვას, მექსიკის ნაკრები სწორედ ამ უალრესად საეჭვო პენალტის მსხვერპლი გახდა.

ვიდეოგამოცრეზებზე ნათლად გამოჩნდა, რომ მეკარე ბრაზილიელ ფორვარდს არც შეხებია. საინტერესოა, რომ რუისი თვენახევრის წინათ ბრაზილია-არგენტინის თამაშს სჯიდა და მაშინაც ბრაზილიელთა სასარგებლოდ სამი პენალტი დანიშნა. მაშინ “სელესტაო” სამივე საჩუქარი გამოიყვანა. არც კვირას გაუშვია ხელიდან შანსი. ალექსანბუსტად დაარტყა და ბრაზილიის ნაკრები დანიწაურდა - 1:0. ამის შემდეგ “მიგელ გრასუს” სტადიონის ტრიბუნებში, რომლის უმრავლესობას ისედაც მექსიკელები შეადგენდნენ, ერთმანდ აცეტკებეს უჭერად მხარს, რადგან აქამდე

ნეიტრალური პერუელები რუისის უსანიშნა და, შეიძლება ითქვას, მექსიკის ნაკრები სწორედ ამ უალრესად საეჭვო პენალტის მსხვერპლი მხარი.

ამ პენალტამდე თამაში აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, მე-9 წუთზე მექსიკელ პაველ პარდოს ანგარიშის გახსნაც კი შეეძლო, მაგრამ უალრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ზუსტად ვერ დაარტყა. საინტერესოა, რომ უკანასკნელ ექვს შეხვედრაში მექსიკას ბრაზილიასთან მატჩი არ ჰქონდა წაგებული და ახლაც, მეორე ტაიმის შუაგულამდე, ლაპუენტეს გუნდი თანაბრად ებრძოდა მსოფლიო ჩემპიონებს.

66-ე წუთზე მექსიკელებმა მინდვრის ცენტრში დაკარგეს ბურთი და ადრიანომ დაბალი დარტყმით ორამდე გაზარდა

ბრაზილიელთა უპირატესობა. შემდეგ იმავე ადრიანომ დრუკარდუ ოლივეირამ საბოლოოდ გაანადგურეს ლაპუენტეს გუნდი. “ამ გოლების შემდეგ ეჭვი არავის შეპარვია, რომ დღეს მექსიკაზე ძლიერები ვიყავით”, - მატჩის შემდეგ თქვა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერერიამ.

“ის ავადსახსენებული პენალტი რომ არა, რომელიც არასიდან გამოიგონეს, თამაში სხვა სცენარით განვიტარდებოდა”, - საპასუხოდ განაცხადა მექსიკის ნაკრების მეორე მწვრთნელმა ხორხე კამპოსმა.

ახლა, როგორც აღენიშნეთ, ბრაზილიის “სელესტაო” ურუგვაის “სელესტეს” დაუპირისპირდება, ხოლო მეორე ნახევარფინალში არგენტინისა და კოლუმბიის გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

ოლიმპიზმი

პარსკვლავების ბარეში



ტიმ მონტგომერი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 100 მეტრ დისტანციაზე ვერ ირბენს.

მსოფლიო ჩემპიონი ყველაზე მოკლე დისტანციაზე სირბილში, ამერიკელი ტორი ედვარდსი. სასჯელს უკვე იხდის 200 მეტრზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონი, რუსი ანასტასია კაპაჩინსკაია. სხვათა შორის, ორივე ამ სპორტსმენმა მას შემდეგ მოიგო ტიტული, რაც დოპინგის მოხმარების გამო დისკვალიფიკაცია მიიღო ბოლი მსოფლიო პირველობის უსწარფესმა ქალბატონმა კელი უაიტმა. ოლიმპიური სპრინტის განაღდგურეზე დაასრულა მიმედ კოლნზმა, რომელიც 400 მეტრზე სირბილში კეტი ფრიმენის უმთავრეს შემკვიდრედ ითვლებოდა. კოლინზმა სადომიგო ინსტაფრემის ექვსი გამო ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ნებაყოფლობით განაცხადა უარი.

ჩოგბურთი

საერთოდ, ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირი ბოლო წლებში ყველაზე უფრო საინტერესო თამაშებს გვპირდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ტურნირში მონაწილეობაზე მასობრივი უარის ტალღა ჯერ კიდევ წინ არის. მათ შორის, ვინც ათენში წასვლაზე უკვე უარი განაცხადა, არიან 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ანდრე აგასი და საუკეთესო ავსტრალიელი ჩოგბურთელი ლეიტონ პიოტიტი, ავრთივე მისი ტრავმირებული მეუღლე კიმ კლინტონი. გულშემატკივრები ვერ იხილავენ! წლევანდელი უიმბლდონის გამგობი, 17 წლის მომხიბველ რუს ჩოგბურთელს მარია შარაპოვას, რომელიც

ფეხბურთი

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ოლიმპიურ თამაშებს მიღმა აღმოჩნდა (ბრაზილიამ შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლია), ისედაც უცნაური ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი საერთოდ უკნისა და ინტრიგის გარეშე დარჩა. უცნაური კი ტურნირი იმი-

რთულ შესარჩევ მექანიზმს შეენირა.

საგზატკეცილო ველობოლა

“ტურ დე ფრანსის” გმირმა, ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა საკუთარ თავს უარი უთხრა სიაშიონებაზე, გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი და ამით გულშემატკივრებსაც მოუსპო სიაშიონება, ათენის ქუჩებში გერმანელ იან ულრიხთან მისი პაექრობა ეხილა.

ბეისბოლი

ცნობილია, რომ სწორედ ამერიკელებმა დაუფინეს ბოლი მთიბუნის შემდეგ შევიდა ოლიმპიურ პროგრამაში მათი ეროვნული სახეობა - ბეისბოლი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ჩაადგეს შესარჩევი ეტაპი, ბეისბოლის შემდგომი ბედი ოლიმპიურ სარბიელზე უალრესად ბუნდოვანი გახდა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ძალიან ბევრია ისეთი პიროვნება, ვისაც სურს, ბეისბოლი იქ გაგზავნოს, საიდანაც მოვიდა. ამისთვის კი ბეისბოლის კანონმდებლების დაუდევრობა საკმარის გარეც საბაბია. ამერიკის ნაკრები ოლიმპიდაზე არ ითამაშებს.

კალთხართი

პორტო სან ჰორჯო - ახალი ათვლის წერტილი

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ეროვნული ნაკრები საერთაშორისო არენაზე გადის

პაატა თოთაძე

“საქართველოს ასეთი ძლიერი ნაკრები ჯერ არ ჰყოლია”... “ჩვენ გვყავს უდიდესი პოტენციალის გუნდი, რომელიც თავის სიძლიერეს აუცილებლად დაამტკიცებს”... “საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამის უარყოფა შეუძლებელია”... ამას და კიდევ ბევრ ამისთანას გაიგონებდით საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებზე. ჰქონდათ კიდევ საფუძველი ამის მოქმედებს: ოთხი კაცი ამერიკაში, ოთხი ევროპის წამყვან კლუბებში. შესაძლოა, ცოტა ხანში მათ რიცხვს მესუთე, წმინდა წყლის ამერიკელიც შეემატოს. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, მოდი და, ნუ იტყვი ნაკრების სიძლიერეზე, პოტენციალზე და ამგვარებზე. ერთი კია: ჯერჯერობით ამ გუნდს თავისი სიძლიერე არ უჩვენებია, ამიტომაც დღეს მხოლოდ პოტენციალზე ვობს საუბარი. ლამის სამწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდს პირველად უწევს საერთაშორისო არენაზე გასვლა. 22-24 ივლისს იტალიურ პორტო სან ჯორჯოში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება და ბრაიკოვიჩის ნაკრებსაც იქ მოუწევს თავისი სიძლიერის დამტკიცება. ქართული კალათბურთის ისტორიაში ახალი ერა იწყება, ერა, რომელმაც ქართულ კალათბურთის ნაწარტი გამარჯვებები უნდა მოუტანოს, ერა, რომლის დასაწყისიც პორტო სან ჯორჯოს საერთაშორისო ტურნირი უნდა გახდეს.

ქართველების გარდა ტურნირზე იტალიელები, რუსები და, საგარაუდოდ, შვედები ითამაშებენ. საგარაუდოდ იმითმ, რომ, იტალიური საინფორმაციო წყაროების ცნობით, შვედების თამაში საბოლოოდ გადაწყე-



ჭორდანის წინააღმდეგ ნათამაშები უილიამში მალე, ალბათ. საქართველოს ნაკრების ლირსებას დაიკავს.

ტილი არაა. მიზეზი ჩვენთვის უცნობია, თუმცა, იტალიელებმა თადარიგი დაიჭირეს და შვედმა უარის შემთხვევაში მეოთხე გუნდად სხვის მიწვევას აპირებენ. ვინ იქნება ის სხვა, იტალიელებისთვისაც უცნობია. საქმე ისაა, რომ თამაშის სურვილი რამდენიმე გუნდს აქვს და ვის შეარჩევენ იტალიელები, შვედების უარის შემთხვევაში, მოგვიანებით გაირკვევა.

ამ ტურნირისთვის საქართველოს ნაკრები დიღმის ბაზაზე ემზადებოდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ბაზაზე ყველა ის კალათბურთელი შე-

კრიბა, რომელსაც ნაკრების კანდიდატად თვლიდა და იტალიაში წამსვლელებიც მათგან შეარჩია: ვლადიმერ ბოისა, ანატოლი ბოისა, კოტე ტულუში, გიორგი ნიკოლაძე, შიო ხეცურიანი, ვალერი კილაძე და დათო ბერძენიშვილი. ამათ დღეს დაემატებიან ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე და შემონდ უილიამსი. პირველ შეხვედრას ჩვენი ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს, მეორეს - იტალიელებთან, დასკენით, მესამე მა-

ველოსპორტი

დიქტატორი



კაცხორიოხის სამი დიდი ველომწრობელი: ფაუსტო კოჩი, მიგელ ინდურაინი და ედი მერსი.

ირაკლი ხარიაშვილი

გუშინ და გუშინწინ ლანს არმსტრონგის რამდენიმე ქომაგმა დამირეკა. კაცი მეექვსედ ივებს “ტურ დე ფრანსს”, ამხელა ჩემპიონისთვის კრიტიკის მეტი არაფერი გემეტებაო? ამ კაცს არც ძროხა მოუპარავს ჩემთვის, არც არაფერი მართებს და საერთოდაც არ ვიცნობ. რაც შეეხება გამეტებას, მაგაში ნამდვილად მართალი ბრძანდებიან ზემოთ ნახსენები ქომაგები - მართლა არაფერი მემეტება, ყოველ შემთხვევაში, კარგი არატყრა.

ლანს არმსტრონგი კარგი სპორტსმენია, ძალიან კარგი სპორტსმენია, მაგრამ არც ისეთი, როგორიც ზოგიერთებს ჰგონიათ. მრავალდღიანი ევლომბოლა ჯიჩო ბარტალის ხუთჯერ აქვს მოგებული, ფაუსტო კოჩის - შეიდეჯერ, ჟაკ ანკეტილს - რვაჯერ, ბერნარ ინის - ათჯერ, მიგელ ინდურაინს - შეიდეჯერ, ედი მერქსს - თერთმეტჯერ! მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. ფაუსტო კოჩის ორჯერ - 1949 და 1952 წელს ერთ სეზონში აქვს მოგებული “ჯირო” და “ტური”. ეს ძალიან ძნელია. “ჯირო” მაისის ბოლოს თავდება, “ტურის” დაწყებად სულ ერთი თვეა. ორი გზა გაქვთ: ან უნდა დაისვენოთ და მერე თავიდან ალიდგინოთ ფორმა, ანდა პიკი, რომელსაც “ჯიროზე” მიაღწიეთ, კიდევ ორი თვით უნდა შეინარჩუნოთ. სპორტში ეგეთ რამეებს მხოლოდ დიდი სპორტსმენები ახერხებენ. ფაუსტო კოჩი ერთი მათგანი იყო.

ახლა კი განავარძოთ. ჟაკ ანკეტილმა 1963 წლის სეზონში მოიგო ჯერ “ტური”, მერე კი - “ვუელტა”, 1964 წელს ჯერ “ჯირო”, მერე კი - “ტური”. ბერნარ ინომ სამჯერ მოახერხა მსგავსი რამ: 1978 წელს - “ტური” და “ვუელტა”, 1982 წელს - “ჯირო” და “ტური”, 1985 წელს - კვლავ “ჯირო” და “ტური”.

მიგელ ინდურაინმა ორ სეზონზე

მოახერხა დუბლის გაკეთება: 1992 წელს “ჯირო” და “ტური”, 1993 წელს - ისევ “ჯირო” და ისევ “ტური”. “კაციჭამიად” ნოდებულ ედი მერქსს ოთხი დუბლი აქვს შესრულებული: 1970 წელს “ჯირო” და “ტური”, 1972 წელს - “ჯირო” და “ტური”, 1973 წელს - “ჯირო” და “ვუელტა”, 1974 წელს - “ჯირო” და “ტური”.

ამასთან ერთად, თვლა არა აქვს ამ სპორტსმენების მიერ მოგებული ერთდღიან თუ ერთკვირიან შეჯიბრებებს. არმსტრონგს მსგავსი არაფერი გაუკეთებია. მთელი წელიწადი მხოლოდ ერთი შეჯიბრებისთვის - “ტურისთვის” ემზადება.

თვით მარკო პანტანიმაც კი, კაცმა, რომელიც ხუთჯერ მოხვდა ავტოკატასტროფაში, აი, იმ მარკომაც კი, 1998 წელს ჯერ “ჯირო” მოიგო, მერე კი “ტურზე” დაამარცხა უკვე გვარიანად გაბრწყინებული ვარსკვლავი იან ულრიხი. სხვათა შორის, ორჯერ საკუთარი თვალით მაქვს ნანახი პანტანისა და არმსტრონგის დუელი მთაში. 2000 წელს “მონ ვენტურზე” პანტანის გამარჯვების შემდეგ არმსტრონგმა ქვეყნმა შეყარა, დაეუთმო. საერთოდ, რა დამთმობიც არის, წყალგელათვალებსა და ცბიერ გამოხედვამიც ეტყობა, მაგრამ, ვთქვათ და, ეუთმოთ კიდევ, მერე, ეგეთ რამეს თუ იკირბე კაცი, ენას კბილი ხომ უნდა დაატყრო. თუ როგორ დამთმო, ორი დღის შემდეგ ნახათო, - ვალში არ დარჩა პანტანი. ორი დღის შემდეგ მეხოთხეთებე ეტაპი იყო - ერთ-ერთი ყველაზე რთული. “კურმევალამდე”, რომელსაც სირთულით ვერც ერთი წლეყანდელი ფინიში ვერ შეედრება, პელოტონს ჯერ 2600-მეტრიანი “კოლ დუ კალიბიერი” უნდა გაკეოლ, მერე კი 2000-მეტრიანი “მადალენი”. ძალიან მინდობა არმსტრონგმა, მაგრამ დუელი მაინც წააგო მთელი 50 წამით.

და რაც თავიარია. ჩემს მიერ დაწერილი არც ერთი კრიტიკული სიტყვა თუ წინადადება მის საპირტული მიღწევებს არ ეხება. აქ ყველაფერი გა-

რკვეულია - ლანს არმსტრონგი დიდი სპორტსმენია, თუმცა, მხოლოდ იმათ შემდეგ, ვინც ზევით ჩამოვთვალე.

აბა, რას ერჩიო, შეიძლება მითხრან და მითხრეს კიდევ.

მხოლოდ რამდენიმე შეკითხვას დავსვამ და, თუ ოპონენტები არ მიწყენენ, თვითონვე გავცემ ძალიან მოკლე პასუხებს. ცხადია, ჩემს პასუხებს კანონის ძალა არა აქვთ, სხვოთი ვერდიქტის გამოტანა ისევ შეუძლებელია.

1. 1999 წლიდან მოყოლებული, ლანს არმსტრონგის გუნდში “US პოსტალს” არც ერთი სპრინტერი არ გატყავნილებოდა.

2. 1999 წლიდან მოყოლებული, ლანს არმსტრონგის გუნდის “US პოსტალს” არც ერთ წევრს ინდივიდუალური შეტევა არ გაუხერხებია, უფრო მარტივად კი - ამ გუნდის არც ერთი წევრი ამ ექვსი წლის განმავლობაში პელოტონს არ გაქცევია.

3. 1999 წლიდან მოყოლებული, “US პოსტალის” არც ერთი წევრი ანგაურიმე არც ერთი მოგებული ეტაპი არ ირცხება.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? მრავალდღიან ევლომბოლებში მიღებული და აუცილებელიც არის, გუნდის ლიდერს საკუთარი დამხმარე ველომბოლი ანუ “გრეგარი” ჰყავდეს. ინდურაინის მოგებული “ტურიც” მახსოვს, ბიარნე რიისისაც, იან ულრიხისაც, მარკო პანტანისაც. ყველა მათგანს თითო ან იშვიათ შემთხვევაში ორი “გრეგარი” ჰყავდა. “US პოსტალის” რვავე მბრძოლი ლანს არმსტრონგის გრეგარია. ამიტომ არ არის გუნდში სპრინტერი - იმას ხომ ფინიშებზე თავისი დამხმარე სჭირდება. არმსტრონგი ტიპური დექატორია, დანარჩენი რვა წევრი - ტიპური მონა. რა ვქნა, დექატატორისა და მონების გუნდის ქომაგი ვერ ვიქნები.

მაგრამ გუნდს ვინდა ჩივის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ “ტურ დე ფრანსის” ორგანიზატორები, კონკ-

ტში კი შეედებს ან მათ შემცველებეს ეთამაშებიან.

“ფუიქრობ, იტალიაში საუკეთესო კალათბურთელები მიდიან. არის კიდევ რამდენიმე, რომელთა ხილვაც მინდოდა, მაგრამ მათ ტრავმები აქვთ. სამწუხაროა, რომ ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით ვერ შევძლებთ გამოსვლას, თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, სექტემბრისთვის ყველა კალათბურთელი ჯანმრთელად იყოს”, - ჩვენთან საუბარში აღნიშნა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა. ვოვა სტეფანიას ჩასვლა გამოირიცხა. “ვოვას ტელეფონით ვესაუბრე, გავიგე, რა ანუხებდა. ამ ეტაპზე უმჯობესია, შინ დარჩეს და ინდივიდუალურად მოემზადოს”, - აღნიშნა ბრაიკოვიჩმა. რაც შეეხება ნიკა ციტიშვილს, იტალიაში მისი ჩასვლა კვლავაც სათუთა - ნიკას საზაფხულო ლიგის თამაშები აქვს და, საეჭვოა, კლუბს მისი გამგება მოუწდეს. კალათბურთის გულშემატკიერებში ყველაზე დიდ ინტერესს ინვესტ შემონდ უილიამსი. ზოგს ის უკვე საქართველოს ნაკრების წევრი ჰგონია და, ერთი სული აქვს, საქმეში როდის ნახავს, “ამერიკელი” ქართველი ბევრი გვიხანავს, “ქართველი” ამერიკელი კი - ჯერ არაო. ჩვენს ნაკრებში უილიამსის თამაშის საკითხი იტალიაში გადაწყდება, თუმცა, ყველა წინაპირობა შექმნილი საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ჩვენს გუნდს 185-სანტიმეტრიანი ზანგი გამთამაშებელი ჰყავდეს. ქართველებს ხომ ამის დიდი სურვილი გვაქვს და, არც უილიამსია უარზე. რაც მთავარია, ჩვენი მთავრობაც ყაზულს ყოფილა ამერიკელის გასაქართველებლად - შემონდისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას წინ არაფერი დაუდგებოა, ბრძანა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ამ გამარჯვების შემდეგ ავსტრალიელი IBF-ის რეიტინგს უნდა ჩაუდგეს სათავეში - ის გახდება მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტი. ტიტულს კი სექტემბერში ბერნარდ ჰოპკინსი და ოსკარ დე ლა

პოია გაითამაშებენ. ამ გამარჯვების შემდეგ ავსტრალიელი IBF-ის რეიტინგს უნდა ჩაუდგეს სათავეში - ის გახდება მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტი. ტიტულს კი სექტემბერში ბერნარდ ჰოპკინსი და ოსკარ დე ლა პოია გაითამაშებენ.

ამ უქმებზე ტემეიკიულში მხოლოდ ეს ბრძოლა არ გამართულა. ერთ-ერთ ბრძოლაში კანადელი კირკ ჯონსონი დეკემბერში ვიტალი კლიკოსთან დამარცხების შემდეგ პირველად გაივდა რინგზე. ჯონსონის მეტოქე იყო საკმაოდ ცნობილი მექსიკელი

რეტულად კი დირექტორი ლებლანი ამერიკელის დღუაუკე ცეკავეს. ლანსს საერთოდ უჭირს ძალიან მაღალ მთებზე სიარული. შეიძლება უზრალო დამთხვევაა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ძალზე უცნაური. ასეთი “დაბალი” “ტურ დე ფრანსი” არ მახსოვს. ერთადერთი 2000-მეტრიანი გადასასვლელია და ისიც ეტაპის შუაში.

თუმცა, ერთი საინტერესო დაუსრებელი დუელი მაინც მოეწყობა. ნებისმიერი უღელტეხილი ან მთა, რომელზეც “ტურის” ტრასა გადის, წლიდან წლამდე დროდღარო მეორდება. ზუსტად მეორდება აღმართის სიგრძეც - სტარტი და ფინიში. ეს საშუალებას იძლევა, აღინეროს დრო, რომლებაც გამარჯვებულები ანდომებენ ამ აღმართის აუღას. ძალიან ბევრ მთაზე დაფიქსირებულია რეკორდებიც. ზეაღინდელი ინდივიდუალური რბოლა “ალბ დ’უეზზე” ამ ტიპის მთებს განეკუთვნება. მართალია, სპორტსმენები დასვენებულეში შეუდგებიან ამ აღმართს, მაგრამ თუ ორგანიზატორებმა რამე არ იემზაკეს, მაინც საინტერესოა, შეეცდება თუ არა არმსტრონგი მარკო პანტანის რეკორდის მოხსნას. ეს აღმართი 1952 წლიდან მოყოლებული 21-

ჯერ მოხვდა “ტურ დე ფრანსის” ტრასაზე. 1952 წელს “ალბ დ’უეზი” ფაუსტო კოჩიმ მოიგო. ეს მთა მოგებული აქვთ ბერნარ ინოს, პანტანის (ორჯერ) და ბოლოს, 2002 წელს, ლანს არმსტრონგს.

რეკორდების ცხრილის სათავეში იტალიელი “პირატია” - 1997 წელი, 37 წუთი და 35 წამი. არმსტრონგის მიერ ნაჩვენებია დრო 26 წამით უარესია. შემდეგ მოდიან ინდურაინი, რომლის მთავარი კოზირი მონისა და მძღოლარი კუნთების გამო წივით არ ყოფილა, ლორან ფინიონი და ბერნარ ინო.

მოკლედ

სპარინგ-პარტნიორის ასათი უნდა



მოჰკინსზე გამარჯვების შემთხვევაში ოსკარ დე ლა პოია შეიძლება სემ სალივენს შეხედეს.

საშუალო წონის ავსტრალიელი მოკრივე სემ სალივანი, რომელიც კონსტანტინ ცხიუს სპარინგ-პარტნიორი იყო, ისე მოემზადა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაზე პრეტენდენტი გახდა.

კონსტანტინ ცხიუს სპარინგ-პარტნიორები დეიმიან ფულერი და სემ სალიმანი არიან. სწორედ მათი დახმარებით ემზადება ცხიუ მსოფლიოს ექსტემპიონ შარმზა მიჩელთან საჩხუბრად. სალიმანმა კალიფორნიის ქალაქ ტემეიკულში პოლანდიელ რაიმონ იოვალემთან იჩხუბა. მეოთხე რაუნდში პოლანდიელი ნოკდაუნში ჩავარდა, ხოლო სალიმანმა კი მსაჯთა საერთო გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. მსაჯთა ჩანაწერებში სალიმანმა ორჯერ - 120:107, ხოლო ერთხელ - 119:108 გაიმარჯვა.

ამ გამარჯვების შემდეგ ავსტრალიელი IBF-ის რეიტინგს უნდა ჩაუდგეს სათავეში - ის გახდება მსოფლიო ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტი. ტიტულს კი სექტემბერში ბერნარდ ჰოპკინსი და ოსკარ დე ლა პოია გაითამაშებენ.

ამ უქმებზე ტემეიკიულში მხოლოდ ეს ბრძოლა არ გამართულა. ერთ-ერთ ბრძოლაში კანადელი კირკ ჯონსონი დეკემბერში ვიტალი კლიკოსთან დამარცხების შემდეგ პირველად გაივდა რინგზე. ჯონსონის მეტოქე იყო საკმაოდ ცნობილი მექსიკელი

ლიუგზარბის ორიატასციაში აჰვი ეპარებათ

საკმაო ხანია, შვედ ფეხბურთელს ფრედი ლუნგბერგს აღმზაცერად უყურებენ. კერძოდ, მაინიათ, რომ ის არატრადიციული სესუალური ორიენტაციისაა. თუმცა, გავრცელებული ხმები შვედ ლეგიონერს თამაშში ხელს არ უშლის. ისე როგორც წითლად შეღებილი თმით, საკუთარი ოსტატობითაც ის გულშემატკივარს აღაფრთოვანებს.

თუმცა, ფრედი ლუნგბერგს მაინც ისეთი იმიჯი აქვს, რომ ბევრს, მართლაც, შეიძლება მასში ეჭვი შეეპაროს. ახლა კი ირკვევა, რომ ეს ყველაფერი თავადაც მოგზურებია და სტილის შვეცლა განუზრახავს.

ლუნგბერგს ბრიტანელი ლამა-

TV-სპორტი

საგზაბათი. 20 ივლისი

HTB+ФУТБОЛ
06:00 NBA TV - ოვერტაიმი
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. “CLEVELAND CAVALIERS” - “MILWAUKEE BUCKS”
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. “ვოლფსბურგი” - “შტუტგარტი”
14:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. “ჩელსი” - “არსენალი”
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “რეალი” - “ვალენსია”
17:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩები-ის მიმოხილვა
18:45 “FUTBOL MUNDIAL”
19:15 “დარტყმა გოლისთვის”
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალთო ტელეპროგრამა
19:55 “ფეხბურთი ანიდან პავდე”
20:25 უკრაინის ჩემპიონატი. “შახტერი” - “ჭერნომორეცი”. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 უკრაინის ჩემპიონატი. “ზაკარპატი” - “დინამო”
00:10 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. “ლაცი” - “რომა”

HTB+СПОРТ
10:00, 13:10, 16:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 “ოლიმპის შეილები”
10:25, 13:25 “ფორმულის ჰაბმონია”
10:45 “ორშაბათამდე მიგაგები”
11:15 “საუკუნის ათლეტები”. ეული ვარსკკლავი”. ბეიბ დიდრეკსონი
11:45 “რკინის ფაქტორი”. ევროპის

ჯილბერტ მარტინესი, რომელმაც უფრო სწრაფ და ტექნიკურ კანადელს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა და მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

საინტერესოა, რომ გასულ უქმეებზე რინგზე მარტოოდენ მამაკაცები კი არა, არამედ ქალებიც გავიდნენ. ასე, მაგალითად, დიდი მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლეილა ალიმ კიდევ ერთხელ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ამჯერად მისი მეტოქე ამერიკელი ნიკი ეპლიონი იყო.

ბრძოლა თავიდანვე ალის შესამჩნევი უპირატესობით დაიწყო. მეოთხე რაუნდში კი, როცა ეპლიონი მეორედ გაიმლართა იატაკზე, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ალიმ ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ორი კვირის შემდეგ ლეილა ალი კვლავ მოისინჯავს ძალებს. ამჯერად ის ქვემშიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონს, გაიანელ გვენდოლნ ონილს შეხედდა.

რინგზე წარმატებული დებიუტი ჰქონდა ჰოხახეთის წარმომადგენელ ნატალია რაგოზინასაც. გერმანიის ქალაქ დესლაში გამართულ ბრძოლაში მან პირველივე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა ლატვიელ ოლგა გორბონოსენკოსთან, - რომელიც, რაგოზინასი არ იყოს, პროფესიულ რინგზე თავის პირველ ბრძოლას ატარებდა.


ზმანი, მოდელ ლაურენ გოლდი ბერძნულ რესტორანში დაუპატიჟებია. ლაურენ გოლდი კი იმითაცაა ცნობილი, რომ რობი უილიამსის ერთ-ერთ კლიშოა გადღეპული. ის ბერძნული რესტორანი ლონდონში კი არა, ფეხბურთელის მშობლიურ პალესტადში ყოფილა.

ბოლო დროს თურმე ხშირად ჩნდებიან საზოგადოებრივი თავშეყარის ადგილებში - რესტორნებში, პლაჟზე... და თუ საქმე ასე გაგრძელდა, საესებით შესაძლებელია, ამჯერად უკვე ლუნგბერგის ცისფერობაში შეეპართი ეჭვი. რას გაიგებ, ვინ ვინაა? ფაქტებია საჭირო.

ჩემპიონატი ბოდიბილდენგსა და ფიტნესში. უნგრეთი. პირველი ნაწილი 12:40 “სპორტული გლობუსი”. “Trans World Sport” წარმოგიდგენს 13:45 წოგბურთი. ATP ტურნირი გერმანიაში. ფინალი 16:30 ცხენისსნობა. წინალობათა გადაღახვა. საერთაშორისო შეჯიბრება გახუთ “როსიას” პრიზზე. დღე მეორე 17:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი საბერძნეთში. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი 20:20 “საუკუნის ათლეტები”. “ფინედი” “სისუს” საიდუმლო”. პაავო ნურმი 21:20 სახვალთო ტელეპროგრამა 21:30 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი “ბრილის თასი”. ინგლისი. პირველი ნაწილი. 22:40 მოდო. საერთაშორისო ტურნირი “პარიზი-2004”
00:15 ახალი ამბები 00:30 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა სამხრეთ კორეიდან

EUROSPORT
10:30 მულტისპორტი 11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტურის საფრანგეთში. ქალბი. ფინალი 11:30 მძლეოსნობა. გრანპრი საბერძნეთში 12:30 ველორობოლა. ტურ დე ფრანსი 13:30 ველორობოლა. ტურ დე ფრანსი 14:00 ველორობოლა. ტურ დე ფრანსი 20:00 ფეხბურთი. ალბური თასი გერმანიაში 22:00 კრიგი. საერთაშორისო ტურნირი იტალიაში 00:00 ველორობოლა. ტურ დე ფრანსი 01:15 ოლიმპიური თამაშები. მიხანა - ათენი 01:45 ფეხბურთი. გოოოოოოო!!!

Եղևնիների խոնավ պոկերի մոտ



თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერელის ბაგეთა მიწეება, სუნი ან გამოწადენი; გართევთ ტკივილი ნეღოს, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მომარადვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინი" და ეს პრობლემები მოგვცხნებათ.

"სალხინი" აწსრავებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინი" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოიტის, სტრეპტოკოკის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინი" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინი" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ შობიბარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინის" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიბიუმში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებში.